შეთანხმება №14/02-217/363ც

**„სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში ფიზიკურ პირზე არსებული ინფორმაციის სოციალური მომსახურების სააგენტოსთვის მიწოდების შესახებ“ 2014 წლის 23 დეკემბრის №14/02-217 ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

ქ. თბილისი

22 დეკემბერი, 2016 წ.

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - **სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო** (შემდგომში - სააგენტო), წარმოდგენილი სააგენტოს მხარდაჭერის დეპარტამენტის დირექტორის, **ნინო ინწკირველის** სახით, საჯარო სამართლის იურიდიული პირი - **მონაცემთა გაცვლის სააგენტო** (შემდგომში - მონაცემთა გაცვლის სააგენტო), წარმოდგენილი მონაცემთა გაცვლის სააგენტოს თავმჯდომარის, **ირაკლი გვენეტაძის** სახით, **საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო** (შემდგომში - სამინისტრო), წარმოდგენილი მინისტრის მოადგილის, **ზაზა სოფრომაძის** სახით და საჯარო სამართლის იურიდიული პირი - **სოციალური მომსახურების სააგენტო** (შემდგომში - მომსახურების სააგენტო), წარმოდგენილი მომსახურების სააგენტოს დირექტორის მოადგილის, **თამაზ მოდებაძის** სახით, შემდგომში ერთობლივად მხარეებად წოდებულნი,

„სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში ფიზიკურ პირზე არსებული ინფორმაციის სოციალური მომსახურების სააგენტოსთვის მიწოდების შესახებ“ 2014 წლის 23 დეკემბრის №14/02-217 ხელშეკრულების 10.2 პუნქტისა და მომსახურების სააგენტოს 2016 წლის 21 დეკემბრის №04/92372 (სააგენტოში რეგისტრაციის №237288, 21.12.2016წ.) წერილის საფუძველზე, ვთანხმდებით შემდეგზე:

## მუხლი 1. შეთანხმების საგანი

შეთანხმების საგანია მხარეთა შორის 2014 წლის 23 დეკემბერს დადებულ №14/02-217 ხელშეკრულებაში (შემდგომში - ხელშეკრულება) ცვლილების შეტანა.

## მუხლი 2. ცვლილება ხელშეკრულებაში

**2.1** ხელშეკრულების 7.1 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„7.1 ელექტრონული სერტიფიკატის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებაზე უფლებამოსილი პირები არიან: სააგენტოს მხრიდან - გარე მომხმარებლებთან ურთიერთობების მართვის სამსახურის უფროსი - **ზურაბ ქუქჩიშვილი** (პ/ნ 18001013307; ტელ.: 032 2357980; ელ. ფოსტა: z.kukchishvili@sda.gov.ge) KUKCHISHVILI, პ/ნ 18001013307; ტელ.: 0322401010 (3689); ელ. ფოსტა: z.kukchishvili@sda.gov.ge), ან გარე მომხმარებლებთან ურთიერთობის მართვის სამსახურის ანალიტიკოსი - **ირაკლი თაბაგარი** (IRAKLI TABAGARI, პ/ნ 35001090110; მობ.: 591503766; ელ. ფოსტა: i.tabagari@sda.gov.ge), ხოლო მომსახურების სააგენტოს მხრიდან - მთავარი სპეციალისტი - **ზურაბ ბატიაშვილი** (ტელ.:577944991; ელ-ფოსტა: zbatiashvili@moh.gov.ge).“.

**2.2** ხელშეკრულების 10.1 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„10.1 წინამდებარე ხელშეკრულება მოქმედებს 2014 წლის 23 დეკემბრიდან და ძალაშია 2017 წლის 22 აპრილის ჩათვლით.“.

## მუხლი 3. დამატებითი პირობები

3.1 წინამდებარე შეთანხმება შედგენილია 4 (ოთხ) ეგზემპლარად, თითოეულ მხარეს გადაეცემა თითო ეგზემპლარი.

3.2 შეთანხმება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

| ნინო ინწკირველი | ირაკლი გვენეტაძე | ზაზა სოფრომაძე | თამაზ მოდებაძე |
|---|---|---|---|

3.3 შეთანხმება წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და მოქმედებს მასთან ერთად.
3.4 ხელშეკრულების ყველა სხვა პირობა რჩება უცვლელი.

**მუხლი 4. მხარეთა რეკვიზიტები**

4.1 სსიპ „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო" – მის.: ქ. თბილისი, 0154, აკ. წერეთლის გამზირი №67ა, ს/კოდი 202307404.
4.2 სსიპ „მონაცემთა გაცვლის სააგენტო" – მის.: ქ. თბილისი, წმინდა ნიკოლოზის/ნ. ჩხეიძის №2, ს/კოდი 204577699.
4.3 საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო - მის.: თბილისი, აკ. წერეთლის გამზირი №144, ს/კოდი 211333957
4.4 სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტო" - მის.: თბილისი, 0119, აკ. წერეთლის გამზირი №144, ს/კოდი 202178927.

| | | | |
|---|---|---|---|
| ნინო ინწკირველი | ირაკლი გვენეტაძე | ზაზა სოფრომაძე | თამაზ მოდებაძე |